საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA
CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

№3-418

09.09.2019

ბატონ არჩილ თალაკვაძეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონო არჩილ,

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამამ საფრანგეთის ლაბორატორია „ევროფინსში" შეამოწმა თბილისის სხვადასხვა მაღაზიაში შეძენილი 35 დასახელების პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საშუალებების ნიმუშები. 5 ნიმუშში აღმოჩნდა პარაბენების ის სახეობები, რომელთა გამოყენებაც აკრძალულია ევროკავშირში გასაყიდ პარფიუმერიულ-კოსმეტიკურ ნაწარმში. დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხლოთ საიტზე momxmarebeli.ge.

როგორც ცნობილია, საქართველოში სამომხმარებლო პროდუქციის უმრავლესობის, მათ შორის, პარფიუმერულ-კოსმეტიკური ნაწარმის უსაფრთხოების კონტროლი არ ხდება, რაც საშიშროებას უქმნის ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

მოვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები გადადგას საქართველოს ბაზარზე განთავსებული სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

პატივისცემით,

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

www.momxmarebeli.ge
სკითხს აბუსებს მომხმარებელი.ge

თბილისი 0177, საქართველო, დელისის I შესახვევი 5ª | Tbilisi 0177, Georgia 5ª Delisi 1st lane
T/F: (+995 32) 2 399 019 | 2 399 018 | E: office@csrdg.ge | www.csrdg.ge